დანართი №3

დამკვირვებლის უფლება-მოვალეობები

1. დამკვირვებელი ვალდებულია გამოცდის ჩატარების ადგილას გამოცხადდეს გამოცდის დაწყებამდე არანაკლებ 30 (ოცდაათი) წუთით ადრე.

2. ამოღებულია (წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე: ოქმი № 15 07.08.2025 წ.)

3. დამკვირვებელი ამოწმებს სტუდენტის იდენტობის დადგენის მიზნით პირადობის მოწმობას (ასლს დამოწმებულს ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერით და ბეჭდით).

4. შუალედური, დასკვნითი, განმეორებითი, დავალიანებული სასწავლო კურსის გამოცდის მაქსიმალური ხანგრძლივობაა 2 (ორი) საათი (თუ ლექტორის მოთხოვნით სხვა დრო არ არის მითითებული).

5. დამკვირვებელი ვალდებულია დააკვირდეს გამოცდის მიმდინარეობას მისთვის განსაზღვრულ/განკუთვნილ ტერიტორიაზე. მკაცრად აკონტროლოს საგამოცდო პროცესი. გამოცდისთვის განსაზღვრული წესების დარღვევის შემთხვევაში სტუდენტი მოხსნას გამოცდიდან.

6. სტუდენტის გამოცდიდან მოხსნის შემთხვევაში, დამკვირვებელი ადგენს შესაბამის ოქმს სამსახურის უფროსთან/კოორდინატორთან ერთად. ასეთ შემთხვევაში სტუდენტის ნამუშევრის შეფასება არ ხდება.

7. დამკვირვებელს ეკრძალება მისთვის განსაზღვრული/განკუთვნილი ტერიტორიის უმეთვალყურეოდ დატოვება, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში იძახებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენელს.

8. დამკვირვებელი ვალდებულია სტუდენტის მიერ დასმულ პროცედურულ და ტექნიკურ შეკითხვებს გასცეს პასუხი. დამკვირვებელს ეკრძალება საგამოცდო საკითხებთან დაკავშირებული შინაარსობრივი ხასიათის შეკითხვებზე პასუხის გაცემა.

9. გამოცდის მიმდინარეობის პროცესში რაიმე პრობლემის არსებობის შემთხვევაში დამკვირვებელი ვალდებულია მიმართოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსს/კოორდინატორს.

10. ამოღებულია - (წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე - ოქმი № 9 25.04.2024 წ.)

11. ამოღებულია - (წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე - ოქმი № 9 25.04.2024 წ.)

12. ამოღებულია - (წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე - ოქმი № 9 25.04.2024 წ.)

13. წინამდებარე წესების დარღვევის შემთხვევაში დამკვირვებელს შეუწყდება შრომითი ხელშეკრულება.